ოქმი N11

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 8 ივნისი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 14

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ნუგზარ შუშანია
8. როსტევან გვარამია
9. ედიშერ წურწუმია
10. თენგიზ აბაკელია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 7 ივნისის N06/2147 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 7 ივნისის N06/2147 წერილის განხილვა („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ"განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით მომზადებული წინადადებები საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ცვლილებები შედის საკრებულოს N64 განკარგულებაში და რეგიონებში განსახორციელებელ პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ობიექტების ნუსხას ემატება კიდევ ორი ობიექტი: შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობისა და ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა